



საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგიის №016/18¹ გადაწყვეტილების მოკლე მიმოხილვა

ნუგზარ მოსიძე (სტუდენტი)

ფაქტები

სასამართლოში პროცესის მიმდინარეობის დროს, პროცესუალური მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატმა სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა ე.შ.-სა და ს.გ.ს. კერძოდ, პროცესის მიმდინარეობისას სასამართლოს განუცხადა, რომ ეჯღანებოდა, ხოლო პროცესის დასრულების შემდეგ ემახდა ყოვლად შეუფერებელ სიტყვებს, „ძუნძულიანსა“ და „ბინძურს“, ს.გ.-ს პროცესის დასრულების შემდეგ, ყოველგვარი მიზეზის გარეშე, რამდენჯერმე შეაგინა, ხოლო დარბაზიდან გასვლისას შეაფურთხა.

სამართლებრივი შეფასება

კოლეგიის შეფასებით, ამ შემთხვევაში ერთმანეთს უპირისპირდება ორი მტკიცებულება, ადვოკატის და განმცხადებლის განმარტება. ზოგადი კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე, სხვა თანაბარ გარემოებებში ეს შეიძლება ვარაუდის საფუძველს ქმნიდეს, რომ დარღვევა მოხდა, მაგრამ ორი თანაბარი წონის მტკიცებულება არ არის საკმარისი დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტისთვის. ამისთვის უნდა წარმოდგენილი იყოს დამატებითი მტკიცებულება. სწორედ ამიტომ საპროცესო კოლეგიამ მისცა შესაძლებლობა განმცხადებლებს წარმოედგინათ მოწმეები, და გამოეთხოვათ აუდიო ჩანაწერი. არსებული დისციპლინური წარმოება, განსხვავებით მსოფლიოში არსებული გამოცდილებისგან, განმცხადებლის აქტიურ როლს ითვალისწინებს, საპროცესო კოლეგიას მხოლოდ დამხმარე როლი აქვს მტკიცებულებების მოპოვებაში. ამ შემთხვევაში კოლეგიამ სრულად მისცა განმცხადებლებს შესაძლებლობა, მოეპოვებინათ მათ მიერ მითითებული ფაქტების დამადასტურებელი მტკიცებულებები. რადგან დისციპლინური წარმოება ადმინისტრაციული წარმოების სტანდარტით ხორციელდება, განხილვის ეტაპზე შეჯიბრებითი პროცესის პირობებში არ არის საკმარისი მხოლოდ ერთი მტკიცებულების მეორეზე მცირე გადაწონვა. საჭიროა, რომ იყოს ცხადი და დამაჯერებელი მტკიცებულება ან მათი ერთობლიობა, რომელიც სადავო ფაქტს დაადგენდა, იმ პირობებში, როდესაც გამომრიცხველი დამაჯერებელი მტკიცებულება არ იქნა წარმოდგენილი.

დასკვნა

ეთიკის კომისიამ მიიჩნია, რომ ადვოკატის მიმართ არ არსებობდა დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

¹ <https://gba.ge/pdf/5cb5d4bebaad45.pdf/016-18%20%20%20%2023.03.18%20%20%20%20ar%20agdzvra.pdf>